

დებულება

სტუდენტის სტატუსის

შესახებ

## სარჩევი

1.სტუდენტის უფლება - მოვალეობები	3
2.სტუდენტის ეთიკისა და ქცევის ნორმები	4
3.სტუდენტის სტატუსის მოპოვება	5
4.სტუდენტის სტატუსის შეჩერება	6
5.სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა	7
6.კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის ინსტრუქცია	7
7.უნივერსიტეტის უფლება-მოვალეობები	9
8.აკადემიური მოთხოვნები	11
9. კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ვადები	14
10. აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი	15
11. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეჩერების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი	16
12.საგანმანათლებლო პროგრამაზე სპეციალიზაციის არჩევის წესი	17
13.სწავლების საფასური	18
14.სტუდენტთა რეგისტრაციის პირობები	21
15.კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა	23
16.სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები	24
17. ძირითადი განმარტებები	27

# მუხლი 1. სტუდენტის უფლება-მოვალეობები

## 1.1. სტუდენტს უფლება აქვს:

- 1.1.1 მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- 1.1.2 მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
- 1.1.3 უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- 1.1.4 ადმინისტრაციის თანხმობით, კავკასიის უნივერსიტეტის სახელით, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სახის სტუდენტურ აქტივობებში;
- 1.1.5 მონაწილეობა მიიღოს კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში პასიური ან აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზებით;
- 1.1.6 თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი აკადემიური ან ადმინისტრაციული პროცესის მიმდინარეობის შესახებ;
- 1.1.7 საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით ისარგებლოს მობილობის უფლებით;
- 1.1.8 მოითხოვოს ნიშნების ფურცელი უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურიდან;
- 1.1.9 გაასაჩივროს მიღებული შეფასება "გამოცდების ჩატარების შესახებ" დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად;
- 1.1.10 დისციპლინური საქმისწარმოების დროს:
  - წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ;
  - დაესწროს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას და დააფიქსიროს პოზიცია;
- 1.1.11 გაეცნოს იმ დოკუმენტებს, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება ან/და მომავალში შეიძლება განისაზღვროს მისი უფლებები და ვალდებულებები.

## 1.2 სტუდენტი ვალდებულია:

- 1.2.1 დაიცვას "კავკასიის უნივერსიტეტის" დებულებით; "სტუდენტის სტატუსის შესახებ" დებულებით; "გამოცდების ჩატარების შესახებ" დებულებით, "ბიბლიოთეკით ისარგებლობის შესახებ" დებულებით; უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებებითა და უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებებით დადგენილი პირობები;
- 1.2.2 უზრუნველყოს უნივერსიტეტის კუთვნილი ქონების, მოწყობილობებისა და მასალების სათანადოდ მოპყრობა და დაცვა, არ შეუქმნას

საფრთხე სხვის უფლებებსა და ჯანმრთელობას. ამასთან, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, მოსთხოვოს სტუდენტს უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება;

1.2.3 არ ჩაიდინოს უნივერსიტეტის ინტერესების საწინააღმდეგო ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედება;

1.2.4 დაიცვას "ბიბლიოთეკით სარგებლობის შესახებ" დებულებით განსაზღვრული წესები;

1.2.5 აცნობოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურს პირად ბარათში მოცემული მისამართისა და სხვა ნებისმიერი პირადი ინფორმაციის ცვლილების შესახებ;

1.2.6 დაიცვას საგანმანათლებლო პროგრამის და მასში შემავალი სილაბუსებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

1.2.7 გადაიხადოს სწავლის საფასური უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დაცვით;

1.2.8 შეაფასოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობა სემესტრულად, უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში;

## **მუხლი 2. სტუდენტის ეთიკისა და ქცევის ნორმები**

2.1 სტუდენტის არაეთიკურ საქციელად ჩაითვლება:

2.1.1 ლექციაზე ან გამოცდაზე დაგვიანება;

2.1.2 სასწავლო/საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას ხმამაღალი ლაპარაკი, დერეფანში ხმაურით სიარული;

2.1.3 თამბაქოს მოწევა, სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარდა;

2.1.4 შენობის, სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკის და უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული სხვა მატერიალურ-ტექნიკური ქონების, დაზიანება და უდიერად მოპყრობა;

2.1.5 სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციის და დამხმარე პერსონალის მიმართ უხეში და დამამცირებელი მოქმედება, ძალადობა და შეურაცხყოფა;

2.1.6 ცივი იარაღის ტარება.

2.2 დისციპლინური პასუხისმგებლობა

სტუდენტის მიერ, სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენისათვის გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:

1.შენიშვნა;

- 2.საყვედური;
- 3.მკაცრი საყვედური;
- 4. საგნიდან/საგნებიდან ჩახსნა;
- 5.სტატუსის შეჩერება;
- 6.სტატუსის შეწყვეტა.

### **მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება**

3.1. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, კავკასიის უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველ საფეხურზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან, "ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის 19/ნ ბრძანების 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აბიტურიენტის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ;

3.2. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სწავლების პირველ საფეხურზე კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარება დასაშვებია მხოლოდ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

3.3. კავკასიის უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მეორე საფეხურზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელიც აკმაყოფილებს "სამაგისტრო გამოცდების ჩატარებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებისა და სამაგისტრო პროგრამებზე მიღების საუნივერსიტეტო წესს.

3.4. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, სწავლების მეორე საფეხურზე კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარება დასაშვებია მხოლოდ "უმაღლესი განათლების

შესახებ” საქართველოს კანონის 52<sup>1</sup>-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

3.5. კავკასიის უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მესამე საფეხურზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელიც აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამებზე მიღების საუნივერსიტეტო წესს.

3.6. ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, კავკასიის უნივერსიტეტი ამტკიცებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მიერ წარდგენილ კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ცალკეული საგნისათვის.

## **მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

4.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

4.1.1. აკადემიური შვებულება;

4.1.2. ავადმყოფობა;

4.1.3. ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

4.1.4. უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);

4.1.5. გრძელვადიანი სამსახურებრივი მივლინება;

4.1.6. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;

4.1.7. ფინანსური დავალიანება;

4.1.8. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტზე სემესტრული რეგისტრაციის გაუვლელიობა;

4.1.9. ოჯახური მდგომარეობა;

4.1.10. პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

4.1.11. სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენა;

4.2. ვადა, რომლის განმავლობაშიც სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი, არ შედის სწავლების დასაშვებ ვადაში;

4.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან (უწყვეტად) 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4<sup>1</sup>. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

4<sup>1</sup>.1 სტუდენტის სტატუსის აღდგენის საფუძველია:

4<sup>1</sup>.1.1. პირადი განცხადება;

4<sup>1</sup>.1.2. სემესტრული რეგისტრაციის გავლა, თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია წინამდებარე დებულების 4.1.8 პუნქტი;

4<sup>1</sup>.1.3. უნივერსიტეტის წინაშე ნაკისრი ფინანსური ვალდებულების სრულად ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ნაწილობრივი შესრულება, თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია წინამდებარე დებულების 4.1.7 პუნქტი;

## **მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

5.1 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- 5.1. პირადი განცხადება;
- 5.2. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- 5.3. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
- 5.4. საგანმანათლებლო პროგრამის დაუსრულებლობა სწავლების დასაშვებ ვადაში;
- 5.4.<sup>1</sup>. სწავლის შედეგის მიღწევის შეუძლებლობა;
- 5.5. სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენა;
- 5.6. გარდაცვალება.

## **მუხლი 6. კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის ინსტრუქცია**

6.1. სტუდენტთა მობილობა სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან

6.1.1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

6.1.2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში, სწავლების მეორე წლიდან. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

6.1.3. სტუდენტების მობილობა ხორციელდება კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში.

6.1.4. კავკასიის უნივერსიტეტი ელექტრონულ პორტალზე კვოტების

რეგისტრაციის შემდეგ უნივერსიტეტის საიტზე აქვეყნებს ინფორმაციას მობილობის შესახებ, სადაც მიეთითება:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელზეც ხორციელდება მობილობა;

ბ) სწავლების წელი, რომლიდანაც შეუძლია სტუდენტს სწავლა გააგრძელოს მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) განსაკუთრებული მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მობილობის სტუდენტი (მაგ. უცხო ენა, რომელსაც უნდა ფლობდეს სტუდენტი);

დ) გასაუბრების ან ტესტირების შემთხვევაში მინიმალური მოთხოვნა, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს სტუდენტმა.

6.1.5. მობილობის მსურველმა სტუდენტმა კავკასიის უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) ნიშნების ფურცელი;

ბ) სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა ბრძანების სათანადოდ დამოწმებული ასლი;

გ) სახელმწიფო სასწავლო გრანტის შემთხვევაში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი დაფინანსების არსებობისა და მისი გამოყენების შესახებ;

დ) პირადობის მოწმობის ასლი;

ე) დაბადების მოწმობის ასლი;

ვ) სამხედრო მიწერის ასლი (ვაჟებისთვის);

ზ) ორი ფოტო სურათი (3×4) + CD;

6.1.6. წარმოდგენილი საბუთების პირველადი განხილვის შემდეგ უნდა დადგინდეს საგანთა ნუსხა, რომელთა სილაბუსების წარმოდგენა, მოთხოვნის შემთხვევაში, აუცილებელია გადმოსვლის მსურველი სტუდენტის მიერ;

6.1.7. კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ:

ა) სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსები შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამას და აღნიშნული შესაბამისობა დადასტურებულია მიმღები სკოლის წერილობითი დასკვნით;

ბ) სტუდენტის ცოდნა და უნარები თავსებადია საგანმანათლებლო პროგრამასთან, რაც დგინდება გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე.

6.1.8. აღიარებული საგნების გათვალისწინებით სტუდენტს მიეცემა საგნებზე რეგისტრაციის უფლება;

6.1.9. უნივერსიტეტი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტს, სტუდენტის მიერ



ხელმოწერილ კრედიტების შესაბამისობის სპეციალურ ფორმას და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას. ცენტრი ამოწმებს დაწესებულების ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ.

6.1.10. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადებითი დასკვნის გაცემის შემდეგ, ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება ცენტრში.

## 6.2. სტუდენტთა მობილობა უნივერსიტეტის ფარგლებში (შიდა მობილობა)

6.2.1. უნივერსიტეტის ერთი სკოლიდან სხვა სკოლაში გადასვლა ან/და სკოლის ფარგლებში, ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა შესაძლებელია უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ.

6.2.2. შიდა მობილობის მსურველმა სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის პრეზიდენტს სასწავლო სემესტრის დაწყებამდე არაუადრეს 2 კვირის და სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 კვირის ვადაში.

6.2.3. სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) შესაბამისი სკოლის დეკანის თანხმობა, ხოლო სხვა სკოლის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის შემთხვევაში, ასევე მიმღები სკოლის დეკანის თანხმობა;

ბ) სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისობის ამსახველი დოკუმენტი მიმღები სკოლის საგანმანათლებლო პროგრამასთან.

6.2.4. ბრძანება სტუდენტის შიდა მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა მე-6 მუხლის 1.10 პუნქტით განსაზღვრული ვადების დაცვით.

## მუხლი 7. უნივერსიტეტის უფლება-მოვალეობები

### 7.1 უნივერსიტეტს უფლება აქვს:

7.1.1. მოითხოვოს სტუდენტისაგან საქართველოს კანონმდებლობით, “კავკასიის უნივერსიტეტის დებულებით”, “სტუდენტის სტატუსის შესახებ” დებულებით, “გამოცდების ჩატარების შესახებ” დებულებით, ”ბიბლიოთეკით სარგებლობის შესახებ” დებულებით, უნივერსიტეტის სხვა შიდა აქტებითა და სტუდენტის მიერ უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი

ვალდებულებების შესრულება;

7.1.2 მოსთხოვოს სტუდენტს აკადემიური და ფინანსური ვალდებულებების შესრულება;

7.1.3 მოსთხოვოს სტუდენტს უნივერსიტეტის სახელისა და რეპუტაციის დაცვა;

7.1.4. მოსთხოვოს სტუდენტს ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ უკლებლივ დააბრუნოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან გატანილი მასალა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, საბიბლიოთეკო მასალის დაზიანებისა ან/და დაკარგვის, დაუბრუნებლობის შემთხვევები რეგულირდება "ბიბლიოთეკით სარგებლობის შესახებ" დებულებით.

## **7.2. უნივერსიტეტი ვალდებულია:**

7.2.1 უზრუნველყოს სტუდენტი სწავლების სათანადო პირობებით, სასწავლო ბაზის სათანადო ტექნიკური აღჭურვიტ, უსაფრთხოების წესებისა და სანიტარული ნორმების დაცვით.

7.2.2 შეუქმნას სტუდენტს განათლების მიღებისთვის შესაბამისი გარემო და პირობები;

7.2.3 უზრუნველყოს სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისთვის საჭირო რესურსებით;

7.2.4 აღმოფხვრას ის მიზეზები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესის მსვლელობას;

7.2.5 უზრუნველყოს სტუდენტისთვის საბიბლიოთეკო ბაზასთან ხელმისაწვდომობა;

7.2.6 არ შეცვალოს სტუდენტის ჩარიცხვის მომენტისთვის დადგენილი სწავლის საფასურის მიხედვით გამოანგარიშებული 1 ECTS კრედიტის ღირებულება სწავლების სტანდარტულ ვადაში (მოცემულ ვადაში შედის ასევე პერიოდი, როდესაც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი და იგი აითვლება სტუდენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და მისთვის სტუდენტის სტატუსის მინიჭების მომენტიდან), გარდა ეროვნული ვალუტის (ლარის) აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვანი გაუფასურებისა, რაც უნივერსიტეტს ანიჭებს უფლებას სწავლების მომდევნო სემესტრიდან შეცვალოს სწავლის ღირებულება. ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვნად გაუფასურებად ჩათვლება ლარის აშშ დოლართან მიმართებაში მინიმუმ 5% დევალვაცია.

## მუხლი 8. აკადემიური მოთხოვნები

8.1. სწავლების თითოეულ ეტაპზე, სტუდენტის აკადემიური მოთხოვნები განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით (კურიკულუმი) და სასწავლო კურსის სილაბუსებით.

8.2. სტუდენტმა თითოეულ დისციპლინაში შეიძლება მიიღოს ბონუს ქულა არაუმეტეს 2%-სა. აღნიშნული ქულის დამატების საკითხს წყვეტს თითოეული სასწავლო დისციპლინის პედაგოგი;

8.3. დაუშვებელია სტუდენტის მიერ ლექციის ან/და საკონტროლო/ტესტური წერის, შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდის გაცდენა ან გადატანა შემდგომი პერიოდისათვის. სტუდენტს შეიძლება მიეცეს შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდის აღდგენის უფლება მხოლოდ უნივერსიტეტის სასწავლო მონიტორინგის დეპარტამენტის წერილობითი ნებართვის შემთხვევაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაცდენა მოხდა საპატიო მიზეზით. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს მიეცა აღდგენის უფლება, შუალედურ გამოცდამდე უნდა აღდგეს სწავლის დაწყებიდან შუალედურ გამოცდამდე გაცდენილი საკონტროლო/ტესტური წერა, ხოლო დასკვნით გამოცდამდე უნდა აღდგეს შუალედური გამოცდიდან დასკვნით გამოცდამდე გაცდენილი საკონტროლო/ტესტური წერა. დაუშვებელია საკონტროლო/ტესტური წერის აღდგენა დასკვნითი გამოცდების დაწყების შემდეგ;

8.4. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

8.5. სტუდენტის საბოლოო შეფასების მიზნებისათვის (კრედიტის მინიჭებისათვის) სავალდებულოა დასკვნითი გამოცდის ჩაბარება. სასწავლო კურსი გავლილად ითვლება თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე გადალახავს გამოცდის ჩაბარებისათვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

8.6. საბაკალავრო პროგრამაზე დასკვნით გამოცდამდე საგანში სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შუალედური შეფასებების ჯამური ქულა არის 70, დასკვნითი გამოცდის ქულა არის 30.

8.7. საბაკალავრო პროგრამის სტანდარტულ I ეტაპზე შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შუალედური შეფასებების ჯამური ქულის 51%, გარდა 8.10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის 51%, გარდა 8.11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8.8. საბაკალავრო პროგრამის II, III და IV ეტაპებზე შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შუალედური შეფასებების ჯამური ქულის 60%. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის 60%.

8.9. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სწავლის თითოეულ ეტაპზე, სასწავლო კომპონენტებში შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური

კომპეტენციის ზღვარი არის შუალედური/დასკვნითი შეფასების ჯამური ქულის მინიმუმ 60%.

8.10. ინგლისური ენის B2 დონის სწავლების ბოლო სემესტრში (სემესტრი, რომელშიც სტუდენტი ხურავს B2 დონეს), მიუხედავად სწავლის ეტაპისა, შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შუალედური შეფასების ჯამური ქულის 60%.

8.11. ინგლისური ენის B2 დონის სწავლების ბოლო სემესტრში სტუდენტს უტარდება „ორკომპონენტიანი გამოცდა“ (რომელიც მოიცავს წერით (20 ქულა) და ზეპირ (10 ქულა) კომპონენტებს), სადაც დასკვნითი გამოცდის ჩაბარებისათვის, სტუდენტმა, მიუხედავად სწავლების ეტაპისა, უნდა გადალახოს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების მინიმუმ 60%. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება არის წერით და ზეპირ კომპონენტებში მიღებული ქულათა ჯამი.

8.12. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა შუალედურ შეფასებებში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მიღწევა.

8.13. დასკვნით გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში, სტუდენტს ერთჯერადად ეძლევა შესაბამის დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება თუ სტუდენტის მიერ, დასკვნით გამოცდამდე დაგროვილი შუალედური შეფასებების ჯამური ქულა მინიმუმ 41-ის ტოლია. აღნიშნული დათქმა არ ვრცელდება დისერტაციისა და სამაგისტრო პროექტის/ ნაშრომის მიმართ.

8.14. ინგლისური ენის ორკომპონენტიან დასკვნით გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში, სტუდენტს ერთჯერადად ეძლევა დასკვნითი გამოცდის ორივე კომპონენტზე ხელახლა გასვლის უფლება.

8.15. სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში;

8.16. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დამატებით გამოცდას ვერ ჩააბარებს, სტუდენტს შესაბამის საგანში უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

8.17. საგნის საბოლოო შეფასება “F”-ის მიღების შემთხვევაში (შესაბამისი ეტაპის სავალდებულო საგანში), სტუდენტი ვალდებულია განმეორებით შეისწავლოს საგანი. სტუდენტს მხოლოდ აღნიშნულ საგანში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში შეუძლია წინარეკვიზიტით ბმული საგნების გავლა. სტუდენტი “F”-ით შეფასებული ერთი და იგივე საგნის ახლიდან შესწავლის რაოდენობაში არ არის შეზღუდული.

8.18. საგნის განმეორებით შესწავლის შემთხვევაში, მიმდინარე საგანში სტუდენტის შეფასებად ჩაითვლება მისი ბოლო შედეგი;

8.19. დამატებითი გადასახადის უზრუნველყოფით საგნის ახლიდან შესწავლის უფლება აქვს ყველა სტუდენტს;

8.20. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). სამაგისტრო პროექტში/ნაშრომში სტუდენტი დადებით შეფასებას იღებს 8.9. პუნქტით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მიღწევის შემთხვევაში.

8.21. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში “FX”-ის მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო “F”-ის მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

8.22. დისერტაცია ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). სტუდენტს დისერტაცია დაცულად ეთვლება თუ იგი მიიღებს ქვემოთ ჩამოთვლილი შეფასებებისაგან ერთ-ერთს:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

8.23. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტში, არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

8.24. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება შეუძლია სტუდენტს, რომელიც აკმაყოფილებს ჩარჩო ხელშეკრულებითა და სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

8.25. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნებისათვის, სტუდენტებს

შეუძლიათ განაცხადის შესავსებად მიმართონ სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, რომლის მიერ დადგენილ ვადებში უნდა გაიარონ ონლაინ რეგისტრაცია და შეავსონ გაცვლითი პროგრამისთვის შემუშავებული განაცხადის სპეციალური ფორმა. სპეციალურ განაცხადში სტუდენტი უთითებს მაქსიმუმ 3 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, დალაგებულს პრიორიტეტების მიხედვით. შესაბამისი განაცხადებისა და კონკურსანტთა ნიშნების ჯამური საშუალო შეწონილის (კუმულაციური GPA-ს) საფუძველზე შედგენილი რეიტინგის მიხედვით, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი ადგენს გაცვლით პროგრამაში მონაწილეთა სიას;

8.26. უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაცვლით, ან ორმაგი ხარისხის პროგრამებზე მონაწილეობისთვის შესაბამისი ღირებულების ანაზღაურების წესი და პირობები რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით;

8.27. გაცვლითი და ორმაგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ვალდებულია დაექვემდებაროს იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ მოთხოვნებს, რომელშიც ხორციელდება სწავლება მიმდინარე ეტაპის ფარგლებში. კერძოდ, კავკასიის უნივერსიტეტში სწავლების განმავლობაში სტუდენტმა უნდა დააკმაყოფილოს მე-8 მუხლში გაწერილი აკადემიური მოთხოვნები შესაბამისი სკოლების მიხედვით და პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების განმავლობაში ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური მოთხოვნები. სწავლების ეტაპების განსხვავებული თანაფარდობის მიუხედავად, აღნიშნული აკადემიური მოთხოვნების შესრულება თანაბრად აუცილებელია აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

## **მუხლი 9. კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ვადები**

### **9.1. ბაკალავრიატი**

9.1.1 ბაკალავრიატის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ვადაა 4 წელი, ხოლო დასაშვები ვადაა 6 წელი. დასაშვებ ვადაში არ შედის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი. სტუდენტს, რომელიც დასაშვებ ვადაში ვერ შეძლებს ბაკალავრიატში სწავლის დასრულებას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი და სასწავლო პროცესის

მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური მას გადასცემს ნიშნების ფურცელს.

9.1.2. სწავლების სტანდარტული ვადისათვის თითოეული ეტაპის ხანგრძლივობა შეადგენს ერთ აკადემიურ წელს (სტანდარტული ეტაპი).

9.1.3. ნიშნების საშუალო შეწონილის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება თავისუფალი კრედიტები;

## 9.2. მაგისტრატურა

9.2.1. მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ვადაა 2 წელი, ხოლო დასაშვები ვადა არის 5 წელი, გარდა ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის მაგისტრატურისა, სადაც პროგრამაზე სწავლის დასაშვები ვადა არის 4 წელი. დასაშვებ ვადაში არ შედის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი. სტუდენტს, რომელიც დასაშვებ ვადაში ვერ შეძლებს მაგისტრატურაში სწავლის დასრულებას, შეუწყდება სტატუსი და სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური მას გადასცემს ნიშნების ფურცელს;

## 9.3. დოქტორანტურა

9.3.1. დოქტორანტურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ვადაა 3 წელი, დასაშვები ვადა არის 5 წელი, გარდა:

9.3.1.1. ბიზნესის სკოლის დოქტორანტურისა, სადაც პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ვადა შეადგენს 4 წელს.

9.3.1.2. სამართლის სკოლის დოქტორანტურისა, სადაც პროგრამაზე სწავლის დასაშვები ვადა არის 7 წელი.

9.3.1.3. ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის დოქტორანტურისა, სადაც პროგრამაზე სწავლის დასაშვები ვადა შეადგენს 4 წელს.

9.3.2. დასაშვებ ვადაში არ შედის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი. სტუდენტს, რომელიც დასაშვებ ვადაში ვერ შეძლებს დოქტორანტურაში სწავლის დასრულებას შეუწყდება სტატუსი და სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური მას გადასცემს ნიშნების ფურცელს;

## **მუხლი 10. აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი**

10.1. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, სტუდენტს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების (არანაკლებ 240 ECTS) მოგროვების შემთხვევაში.

10.2. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, სტუდენტს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ენიჭება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების (არანაკლებ 120 ECTS) მოგროვების შემთხვევაში.

10.3. უნივერსიტეტის შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სტუდენტს დოქტორის აკადემიური ხარისხი ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების (არანაკლებ 180 ECTS) მოგროვების შემთხვევაში.

## **მუხლი 11. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეჩერების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი**

11.1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეჩერება, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, შესაძლებელია თუ:

11.1.1. საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება 5-ს;

11.1.2. სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება 3-ს;

11.1.3. სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება 3-ს.

11.2. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტი აკეთებს არჩევანს შემდეგ სამ ალტერნატივას შორის:

11.2.1. გადადის მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამ შემთხვევაში მის მიერ გავლილი კრედიტების აღიარება მოხდება პროგრამათა შესაბამისობის დადგენის საფუძველზე წინამდებარე წესის მე-6 პარაგრაფის მეორე ნაწილის შესაბამისად;

11.2.2. სტუდენტისათვის დადგინდება ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკი, რაც ითვალისწინებს გარკვეული დისციპლინების შესწავლას მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან ერთად. აღნიშნულ შემთხვევაში უნდა იყოს დაცული დისციპლინათა ცალსახობა, კერძოდ დისციპლინის შინაარსი და მოცულობა (ECTS კრედიტებში). რაც შეეხება სპეციალობის საგნებს, მათი შესწავლა მოხდება წინარეკვიზიტების დაცვით მომდევნო და წინა სასწავლო წლის სტუდენტებთან ერთად;

11.2.3. სარგებლობს მობილობის უფლებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“



კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ და „თ 1“ ქვეპუნქტების დაცვით.

11.2.4. თითოეულ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში უნდა იქნას დაცული სტუდენტის უფლება თავისუფალი არჩევანის შესახებ. პირველი და მეორე ალტერნატივის არჩევის შემთხვევაში სტუდენტის მიერ გადახდილი და გამოუყენებელი (დეპოზიტში არსებული) სწავლის საფასური გადანაწილდება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამის დისციპლინებზე, ხოლო მესამე ალტერნატივის შემთხვევაში სტუდენტის მიერ გადახდილი და გამოუყენებელი (დეპოზიტში არსებული) სწავლის საფასური დაუბრუნდება სტუდენტს.

## **მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამაზე სპეციალობის არჩევის წესი**

12.1 კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო პროგრამებიდან სპეციალობის (კონცენტრაციის) არჩევის საშუალებას იძლევა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა). ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სპეციალობის არჩევა შესაძლებელია სწავლების მეექვსე სემესტრიდან. სპეციალობის არჩევის კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომელთაც არ გააჩნიათ აკადემიური დავალიანება (შესრულებული აქვთ საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა). თითოეულ სპეციალობაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობათა ჯამი ემთხვევა კონკურსში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობას.

12.2. კონკურსი ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს:

12.2.1. სკოლის ადმინისტრაცია აცხადებს ადგილების რაოდენობას თითოეულ სპეციალობაზე და ასევე განაცხადების მიღების ვადებს. განაცხადის წარმოდგენის ვადა არ უნდა იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები;

12.2.2. სტუდენტი ავსებს ონლაინ-განაცხადის ფორმას (იხ. დანართი 1) ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებულ ვადებში. შევსებულ განაცხადში სტუდენტი აფიქსირებს მის მიერ გაკეთებულ არჩევანს რიგითობის მიხედვით;

12.2.3. მიმდინარეობს სტუდენტთა განაცხადების პირველადი დამუშავება. კერძოდ, თუ შემოსული განაცხადების მიხედვით კონკრეტულ სპეციალობაზე არ არის კონკურსი, მაშინ სტუდენტები ავტომატურად ირიცხებიან შესაბამის სპეციალობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებს მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესი;

12.2.4. სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებები, იმ რელევანტურ საგნებში რომლებიც შერჩეულ იქნა სკოლის საბჭოს მიერ, გამრავლდება ასევე წინასწარ დადგენილ წონებზე (იხ. დანართი 1). მიღებული შედეგები დალაგდება რეიტინგის მიხედვით და გამოცხადებული კვოტის ფარგლებში მოქცეული სტუდენტები ჩაირიცხებიან შესაბამის სპეციალობაზე;

12.2.5. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც კონკურსის შედეგად ვერ მოხვდებიან მათ მიერ პირველ ადგილზე მითითებულ სპეციალიზაციაზე იმოქმედებს 12.2.4 პუნქტში აღწერილი წესი არჩევანის რიგითობის მიხედვით.

12.3 უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ნაწილი საშუალებას აძლევს სტუდენტს კრედიტების წინასწარ დადგენილი რაოდენობის დაგროვების შემდეგ სწავლა გააგრძელოს პარტნიორ უნივერსიტეტში და მოიპოვოს ორმაგი ხარისხი.

## მუხლი 13. სწავლის საფასური

13.1 სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს სწავლის საფასური უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ოდენობით, გადახდის წესისა და ვადების დაცვით;

13.2 მხარეთა მიერ თითოეულ სემესტრში დამატებით იდება სემესტრული, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ხელშეკრულებები, რომლებითაც დეტალურად რეგულირდება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ფინანსური ხასიათის ურთიერთობები თითოეული სემესტრის განმავლობაში;

13.3 სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ ვადებში დარეგისტრირდეს საგნებზე, წინარეკვიზიტების დაცვით (ჩარჩო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით) და გააფორმოს სემესტრული ხელშეკრულება. სწავლების სემესტრული გადასახადი განისაზღვრება რეგისტრირებული საგნების კრედიტების მიხედვით. უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებული წესი; სტუდენტის მირ დაგროვილი თავისუფალი კრედიტების აღიარება მოხდება მას შემდეგ, რაც გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება და დაიფარება აღნიშნული კრედიტების ღირებულება;

13.4 საგნის პირველად შესწავლის შემთხვევაში 1 ECTS კრედიტის ღირებულება განისაზღვრება ჩაირიცხვის მომენტისთვის დადგენილი ტარიფით და ის არ იცვლება;

13.4.1. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების პირველი 4 წლის განმავლობაში,

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე - სწავლების სტანდარტული ვადის განმავლობაში (მოცემულ ვადაში შედის ასევე პერიოდი, როდესაც სტუდენტს შეჩერებული ჰქნოდა სტატუსი და იგი აითვლება სტუდენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მინიჭების მომენტიდან), გარდა ეროვნული ვალუტის (ლარის) აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვანი გაუფასურებისა, რაც უნივერსიტეტს ანიჭებს უფლებას სწავლების მომდევნო სემესტრიდან შეცვალოს სწავლის ღირებულება. ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვნად გაუფასურებად ჩაითვლება ლარის აშშ დოლართან მიმართებაში მინიმუმ 5% დევალვაცია;

13.5 საგნის ახლიდან შესწავლის შემთხვევაში 1 ECTS კრედიტის ღირებულება განისაზღვრება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით დადგენილი ტარიფების თანახმად. კერძოდ, დამატებითი მომსახურების პირველად გაწევის შემთხვევაში, კრედიტის ღირებულება ემთხვევა სტუდენტის ჩარიცხვის მომენტისთვის დადგენილი სწავლის საფასურის მიხედვით გამოანგარიშებული 1 ECTS კრედიტის ღირებულებას, ხოლო ყოველი მომდევნო მომსახურების გაწევის ტარიფი განსხვავებულია აღნიშნული თანხისგან;

13.6 უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, სემესტრულ რეგისტრაციაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, დამატებით ფორმდება ცვლილების ხელშეკრულება, რაც სემესტრულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ტოლფასია;

13.7. სტუდენტისათვის დამატებითი მომსახურების ტარიფები არ იცვლება - საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების პირველი 4 წლის განმავლობაში, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე - სწავლების სტანდარტულ ვადაში, გარდა 13.4.1. მუხლით განსაზღვრული შემთხვევისა.

13.8. კავკასიის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის რეიტინგულ სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ გარკვეული სპეციალური საფასურით თუ ისინი აკმაყოფილებენ კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებულ, შემდეგ წინაპირობებს:

13.8.1. სასწავლო ეტაპები ემთხვევა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლების სტანდარტულ ეტაპებს;

13.8.2. გავლილი აქვს შესაბამისი ეტაპის პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი;

13.8.3. მიმდინარე ეტაპზე სტუდენტის მიერ მიღებული ნიშნების საშუალო შეწონილი (GPA) აღემატება 3.8-ს (კალკულაციაში არ გაითვალისწინება საანგარიშო სასწავლო წელს გავლილი წინა ან მომდევნო ეტაპის საგნები);

13.8.4. სწავლის სტანდარტულ III ეტაპზე წარმოდგენილი აქვს TOEFL სერტიფიკატი არანაკლებ 79 ქულისა ან IELTS სერტიფიკატი არანაკლებ 5.5. ქულისა;

13.8.5. კავკასიის სამართლის სკოლის, კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლისა და კავკასიის ტურიზმის სკოლის სტუდენტს: შესაბამის სასწავლო წელს მიღებული აქვს მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციაში;

13.8.5.1. კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლისა და კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტს: შესაბამის სასწავლო წელს - II ან III ეტაპზე, მიღებული აქვს მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციაში (ეს მოთხოვნა არ ვრცელდება I ეტაპის სტუდენტებზე);

13.8.5.2. კავკასიის მედიის სკოლის სტუდენტს: შესაბამის სასწავლო წელს მიღებული აქვს მონაწილეობა ონლაინ რადიოში ან საუნივერსიტეტო დონეზე სკოლის მიერ განსაზღვრულ მედია საქმიანობაში;

13.8.5.3. კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის სტუდენტს: შესაბამის სასწავლო წელს - II ან III ეტაპზე, მიღებული აქვს მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციაში ან "სკოლის ორგანიზებულ ინოვაციურ პროექტში" (ეს მოთხოვნა არ ვრცელდება I ეტაპის სტუდენტებზე);

13.8.6. უკანასკნელი 1 სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტს არ აქვს შეფარდებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომა;

13.8.7. არ არის მოხსნილი გამოცდიდან ან/და არ აქვს განულებული გამოცდის შედეგები;

13.8.8. არ არღვევს უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ საუნივერსიტეტო წესებს.

13.9. თუ სტუდენტი (გარდა კავკასიის ბიზნესის სკოლისა) აკმაყოფილებს სწავლის სპეციალური საფასურით სარგებლობის წინაპირობებს და სტანდარტული რეიტინგის მიხედვით:

- დაიკავებს I ადგილს, მოეხსნება სწავლების მომდევნო (სტანდარტული) ეტაპის გადასახადი არაუმეტეს 60 კრედიტის ფარგლებში (პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ეტაპის კრედიტები);

- დაიკავებს II ადგილს, გაუნახევრდება სწავლების მომდევნო (სტანდარტული) ეტაპის გადასახადი 60 კრედიტის ფარგლებში;

- დაიკავებს III ადგილს, მოეხსნება სწავლების მომდევნო (სტანდარტული) ეტაპის გადასახადის 30%-ის გადახდის ვალდებულება 60 კრედიტის ფარგლებში;

13.10. რეიტინგული სტუდენტის მიერ 60 კრედიტზე მეტი საგნების არჩევის შემთხვევაში, სტუდენტი თავად უზრუნველყოფს შესაბამისი კრედიტების ღირებულების გადახდას.

13.11. თუ კავკასიის ბიზნესის სკოლის სტუდენტი აკმაყოფილებს სწავლის სპეციალური საფასურით სარგებლობის წინაპირობებს და სტანდარტული რეიტინგის მიხედვით:

13.11.1. დაიკავებს I ადგილს, მოეხსნება სწავლების მომდევნო (სტანდარტული) ეტაპის გადასახადი:

- სწავლის II ეტაპზე არაუმეტეს 62 კრედიტის ფარგლებში (პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ეტაპის კრედიტები);

- სწავლის III ეტაპზე არაუმეტეს 63 კრედიტის ფარგლებში (პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ეტაპის კრედიტები);
- სწავლის IV ეტაპზე არაუმეტეს 55 კრედიტის ფარგლებში (პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ეტაპის კრედიტები);

13.11.2. დაიკავებს II ადგილს, გაუნახევრდება სწავლების მომდევნო (სტანდარტული) ეტაპის გადასახადი 13.11.1. მუხლით განსაზღვრული კრედიტის ფარგლებში;

13.11.3. დაიკავებს III ადგილს, მოეხსნება სწავლების მომდევნო (სტანდარტული) ეტაპის გადასახადის 30%-ის გადახდის ვალდებულება 13.11.1. მუხლით განსაზღვრული კრედიტის ფარგლებში;

13.12. სტუდენტის მიერ, სწავლის II ეტაპზე 62, III ეტაპზე - 63, IV ეტაპზე - 55 კრედიტზე მეტი საგნების არჩევის შემთხვევაში, სტუდენტმა თავად უზრუნველყოს შესაბამისი კრედიტების ღირებულების გადახდა;

13.13. თუ დასაფინანსებელ აკადემიურ სასწავლო წელს რეიტინგული სტუდენტი არ აითვისებს დაფინანსების პირობით განსაზღვრულ კრედიტებს, დარჩენილ კრედიტებზე დაფინანსება არ გადადის მომდევნო სასწავლო წელზე;

13.14. რეიტინგული სტუდენტები გამოვლინდებიან თითოეული სკოლის მონაცემების შესაბამისად. რეიტინგული სტუდენტები გამოვლინდებიან თბილისისა და ბათუმის ფილიალის შესაბამისი სკოლების ერთობლივი მონაცემების გათვალისწინებით.

13.15. რეიტინგი დგინდება მიმდინარე ეტაპზე სტუდენტთა მიერ მიღებული ნიშნების საშუალო შეწონილით (GPA);

13.16. გამონაკლისის სახით რეიტინგში მონაწილეობას იღებენ საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მივლინებული ის სტუდენტები, რომელთაც არა აქვთ აკადემიური დავალიანება. მათი რეიტინგში მონაწილეობის წესს არეგულირებს წინამდებარე დებულების 13.17. პუნქტი.

13.17. თუ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მიღებულ სტუდენტთა სწავლის ეტაპები არ ემთხვევა სწავლების სტანდარტულ ეტაპს ან/და თუ უნივერსიტეტის მხრიდან ვერ მოხდება შესაბამისი ეტაპის პროგრამით გათვალისწინებული საგნების შეთავაზება, რეიტინგი დგინდება მიმდინარე ეტაპზე სტუდენტთა მიერ გავლილი საგნების, მათ შორის პარტნიორ უნივერსიტეტში მიღებული ნიშნების საშუალო შეწონილით (GPA);

13.18. სახელმწიფო გრანტის მფლობელი რეიტინგული სტუდენტის დაფინანსების დროს, დადგენილი წესის შესაბამისად, კალკულაცია ხდება სწავლის საფასურიდან, რომელიც რჩება სახელმწიფო გრანტის თანხის გამოკლების შედეგად.

13.19. სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის თანხა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტის ანგარიშზე ირიცხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. უნივერსიტეტის აკადემიური კალენდრით განსაზღვრული აკადემიური სემესტრის დასრულებამდე შესაბამისი თანხის მიუღებლობის შემთხვევაში, გადახდის ვალდებულება ეკისრება სტუდენტს.

## მუხლი 14. სტუდენტთა რეგისტრაციის პირობები

### 14.1. ბაკალავრიატი

14.1.1. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ რეგისტრაციის ვადებში დარეგისტრირდეს საგნებზე (მოდულებზე) (წინარეკვიზიტების დაცვით), გააფორმოს სემესტრული ხელშეკრულება და გადაიხადოს სწავლის სემესტრული გადასახადი ხელშეკრულებაში ფიქსირებული სემესტრის დაწყებამდე. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი არ გაივლის დროულ რეგისტრაციას ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში ის გადადის გვიანი რეგისტრაციის რეჟიმში რისთვისაც დაეკისრება დამატებითი გადასახადი;

14.1.2. სტუდენტი ვალდებულია საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების I ეტაპის განმავლობაში რეგისტრაცია გაიაროს სემესტრში (აქტიური სემესტრი) მინიმუმ 25 ECTS კრედიტის შესაბამის საგნებზე (მოდულებზე); II, III და IV ეტაპზე - სემესტრში (აქტიური სემესტრი) მინიმუმ 18 ECTS კრედიტის შესაბამის საგნებზე (მოდულებზე).

14.1.3. საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც, უნივერსიტეტი უფლებამოსილია გაწიოს სასწავლო მომსახურება რეგულირდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებით;

14.1.4 სტუდენტს, რომელიც უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ ვადებში არ გაივლის დროულ რეგისტრაციას ან გაუქმებული აქვს საგნების რეგისტრაცია უნივერსიტეტის მიერ გადაუხდელობის გამო, საშუალება ეძლევა გაიაროს გვიანი რეგისტრაცია, რისთვისაც მას დაეკისრება დამატებითი გადასახადი 70 ლარის (სამოცდაათი ლარი) ოდენობით. ამ შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია სწავლების საფასური და გვიანი რეგისტრაციის ჯარიმა გადაიხადოს გვიანი რეგისტრაციის გავლის დღეს;

14.1.5. სტუდენტს უფლება აქვს შეცვალოს, გააუქმოს, ან დაამატოს საგნის რეგისტრაცია, თუ მის მიერ საგნის რეგისტრაციის გაუქმება/შეცვლა ზეგავლენას არ მოახდენს ჯგუფის შედგენასა (რაოდენობაზე) და სტუდენტის მიერ დებულების 14.1.2. ქვეპუნქტებით დადგენილი ვალდებულების შესრულებაზე. ის ვალდებულია დაუყოვნებლივ დააფიქსიროს აღნიშნული ცვლილება სასწავლო მენეჯერთან ცვლილებების ფორმის ხელმოწერით, რაც სემესტრულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ტოლფასია. აღნიშნული ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს სემესტრის დაწყებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში (ზაფხულის სემესტრში 1 (ერთი) კვირის განმავლობაში). თუ სტუდენტი გააუქმებს საგნების (მოდულების) რეგისტრაციას, უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში, მის მიერ გაუქმებული საგნის საფასური გადაიტანება დეპოზიტად შემდგომი სემესტრისათვის. ამ მუხლით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, უნივერსიტეტი არ აუქმებს სემესტრულ რეგისტრაციას.

14.1.6. დებულების 14.1.6 მუხლით განსაზღვრულ ვადებში საგნის დამატების

შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია თანხა გადაიხადოს საგანზე რეგისტრაციის გავლის დღეს.

14.1.7. სტუდენტი დაიშვება რეგისტრაციის მეორე ეტაპზე: რეგისტრაცია საგანზე პედაგოგის, დროისა და აუდიტორიის მითითებით – თუ მას არ გააჩნია ფინანსური დავალიანება;

## 14.2 მაგისტრატურა

14.2.1 სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ რეგისტრაციის ვადებში დარეგისტრირდეს საგნებზე (წინარეკვიზიტების დაცვით), გააფორმოს სემესტრული ხელშეკრულება და გადაიხადოს სწავლის სემესტრული გადასახადი ხელშეკრულებაში ფიქსირებული სემესტრის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი არ გაივლის დროულ რეგისტრაციას და/ან არ გადაიხდის სწავლების გადასახადს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში ის გადადის გვიანი რეგისტრაციის რეჟიმში რისთვისაც მას დაეკისრება დამატებითი გადასახადი 70 ლარის (სამოცდაათი ლარი) ოდენობით. ამ შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია სწავლების საფასური და გვიანი რეგისტრაციის ჯარიმა გადაიხადოს გვიანი რეგისტრაციის გავლის დღეს;

14.2.2 საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც, უნივერსიტეტი უფლებამოსილია გაწიოს სასწავლო მომსახურება რეგულირდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებით.

14.2.3 სტუდენტს უფლება აქვს სემესტრის დაწყებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში (ზაფხულის სემესტრში 1 კვირა) შეცვალოს, გააუქმოს ან დაამატოს საგნის რეგისტრაცია, თუ მის მიერ საგნის რეგისტრაციის გაუქმება ზეგავლენას არ მოახდენს ჯგუფის შედგენაზე (რაოდენობაზე). ის ვალდებულია დაუყოვნებლივ დააფიქსიროს აღნიშნული ცვლილება სასწავლო მენეჯერთან, ცვლილების ფორმის ხელმოწერით, რაც სემესტრულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ტოლფასია;

14.2.4 თუ სტუდენტი გააუქმებს საგნების რეგისტრაციას, 14.2.3 პუნქტის მიხედვით დადგენილ ვადებში, მის მიერ გაუქმებული საგნის საფასური გადაიტანება დეპოზიტად შემდგომი სემესტრისათვის; ამ მუხლით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, უნივერსიტეტი არ აუქმებს სემესტრულ რეგისტრაციას.

14.2.5 ხელშეკრულების 14.2.3 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში საგნის დამატების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია თანხა გადაიხადოს საგანზე რეგისტრაციის გავლის დღეს.

## მუხლი 15. კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS)

15.1. კავკასიის უნივერსიტეტში მიღებულია სტუდენტების მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გაანგარიშება კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის ECTS -ის მიხედვით. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა) შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დასწრება;

- დამოუკიდებელი მეცადინეობა;

- გამოცდების მომზადება-ჩაბარება;

- სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკა;

- სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, საბაკალავრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომი, სადოქტორო დისერტაცია) მუშაობა;

- სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვა და გამოყენება.

სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში.

15.2. საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს არაუმეტეს 75 კრედიტს (1 კრედიტი მოიცავს სტუდენტის დატვირთვას 25-30 ასტრონომიული საათის განმავლობაში).

15.3. ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი და იგივე მოდული ან საგანი ყველა პროგრამის სტუდენტისთვის უნდა მოიცავდეს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.

15.4. კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისთვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. კრედიტის განაწილების სისწორე უნდა შემოწმდეს სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად სტუდენტებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობას.

15.5. კრედიტი არ შეიძლება იქნას გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებელთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით.



## მუხლი 16. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები

16.1. კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტის კოორდინაციით, კავკასიის უნივერსიტეტის სკოლები ყოველწლიურად ატარებენ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებს. კონფერენციის მიზანია ორიგინალური იდეებით გამსჭვალული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომების შერჩევა, მათი წარდგენა დაინტერესებული ინსტიტუტებისათვის და სამეცნიერო პოტენციალის მქონე ახალგაზრდების წარმოჩენა.

16.2. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტი სკოლებთან შეთანხმებით ადგენს სასკოლო და საუნივერსიტეტო კონფერენციების გრაფიკს და აცხადებს განაცხადების მიღებას.

16.3. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის წარდგენა ხდება სკოლის დეკანატში, ყოველი წლის 1 დეკემბრამდე. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს აპლიკაციის ფორმა.

16.4. სტუდენტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ მოთხოვნებს (რომელსაც, მიიღებთ განაცხადის წარდგენისას).

16.5. სამეცნიერო დეპარტამენტი 15 თებერვლამდე იხილავს სკოლებიდან შემოსულ განაცხადებს. 15 თებერვალს სამეცნიერო დეპარტამენტი, უნივერსიტეტის სკოლებთან შეთანხმებით, გამოავლენს პირველ ტურში გასულ სტუდენტებს და დანიშნავს სასკოლო კონფერენციების თარიღებს.

16.6. სასკოლო კონფერენციები სტანდარტულად იმართება ყოველი წლის გაზაფხულის სემესტრში.

16.7. კონფერენციის დასრულებისას, შემფასებელი კომისია აცხადებს შედეგებს და გამარჯვებულებს. კონფერენციაში გამარჯვებულ მონაწილეთა დაჯილდოვება მოხდება კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ დაწესებული სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით მათ მიერ დაკავებული ადგილის შესაბამისად.

16.8. თითოეული სკოლის სამი საუკეთესო ნაშრომის ავტორი წარდგენილი იქნება საერთაშორისო კონფერენციაზე.

16.9. საერთაშორისო კონფერენცია ტარდება სასკოლო კონფერენციების დასრულების შემდეგ.

16.20. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ კავკასიის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის

სტუდენტებს.

16.21. საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად შეიძლება დაიშვან როგორც სასკოლო კონფერენციაზე გამარჯვებული, ასევე სასკოლო კონფერენციების საკონკურსო კომისიების მიერ რეკომენდირებული სტუდენტები.

16.22. სამაცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი განაცხადი არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს. განაცხადში მოკლედ უნდა აღიწეროს სამეცნიერო თემა – არსებული პრობლემა, თემის აქტუალობა, გამოყენებული კვლევის მეთოდები და მიღებული შედეგი. სავალდებულოა გამოყენებული ლიტერატურის მითითება.

16.23. განაცხადი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- 1 – რამდენად შეესაბამება ის კონფერენციის თემატიკას;
- 2 – რამდენად ორიგინალურია ნაშრომი;
- 3 – რამდენად ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული ავტორის მოსაზრება;
- 4 – რამდენად საფუძვლიანადაა შესრულებული კვლევა;

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია, განაცხადის ფორმა

სახელი, გვარი \_\_\_\_\_

ნაშრომის სათაური: \_\_\_\_\_

სექციის დასახელება: \_\_\_\_\_

სპეციალობა: \_\_\_\_\_

კურსი: \_\_\_\_\_

მისამართი: \_\_\_\_\_

ტელეფონის ნომერი: \_\_\_\_\_

ელ-ფოსტის

მისამართი: \_\_\_\_\_

ხელმძღვანელის

სახელი, გვარი: \_\_\_\_\_

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენცებში?

---

სტუდენტის ხელმოწერა

თარიღი

### ძირითადი განმარტებები

აკადემიური პროგრამა (კურიკულუმი) – ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებელი საგანმანათლებლო პროგრამა – სასწავლო კურსების (საგნების) და/ან მოდულების ერთობლიობა (მათი მიზნები და ამოცანები, შინაარსი და მოცულობა, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ხარისხის შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და მეთოდური უზრუნველყოფა), რომელიც სათანადო აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლადაა გამიზნული;

აქტიური სტუდენტი – სტუდენტი, რომელმაც გაიარა რეგისტრაცია და სრულად დაფარა მიმდინარე სემესტრის სწავლების საფასური;

გადაწერა – სხვისი დახმარება ან/და სხვის მიერ გაწეული დახმარების მიღება. აკრძალულია წიგნებისა და ჩანაწერების გამოყენება (თუ ეს არ არის ნებადართული ლექტორის მიერ) გამოცდის ან ყოველკვირეული ტესტირების დროს, ასევე ინფორმაციის გაცვლა სხვა სტუდენტებთან. გადაწერის ერთ-ერთი ფორმაა გამოცდის დაწყებამდე ან/და მის შემდეგ სტუდენტების მიერ საკუთარი ნამუშევრების ჯგუფურად განხილვა, რაც განსაკუთრებით იკრძალება ადმინისტრაციის მიერ;

თავისუფალი კრედიტი – საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტი, რომელიც სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს სხვადასხვა აქტივობით. კერძოდ, კავკასიის უნივერსიტეტის სხვა რომელიმე სკოლის საგნის (საგნების) შესწავლით, კონფერენციაში მონაწილეობით, სამეცნიერო სტატის გამოქვეყნებით, ან

სასწავლო პრაქტიკით;

კვლევითი კომპონენტი – საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი, რომელიც მოიცავს სტუდენტის მიერ კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას, რომელთა საფუძველზე იგი შეძლებს საკვალიფიკაციო ნაშრომის წარმოდგენას;

პასიური სტუდენტი – სტუდენტი, რომელიც არ გაივლის რეგისტრაციას; სტუდენტი, რომელიც ვერ გაივლის რეგისტრაციას უნივერსიტეტის მიერ დაწესებული დისციპლინარული სანქციების გამო; სტუდენტი, რომელიც დადგენილ ვადაში არ გადაიხდის მიმდინარე სემესტრში სასწავლო მომსახურების საფასურს;

პლაგიატი – სხვისი ნაშრომის, პროექტისა და კვლევის მითვისება, ასევე უცოდინარობის შემთხვევაში, მის გადაკეთება;

რეგისტრაცია – ელექტრონული განაცხადის შევსება, რომლითაც სტუდენტი აფიქსირებს მიმდინარე სემესტრში მის მიერ შესასწავლ საგნებს და იღებს გაწეული სასწავლო მომსახურების შესაბამისად ანაზღაურების ვალდებულებას;

სილაბუსი – აკადემიური პროგრამით განსაზღვრული კონკრეტული სასწავლო კურსის კონკრეტული ლექტორის მიერ მოცემული საგნის აღწერილობა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი საგნის მიზნები და შედეგები, კურსის ფარგლებში შესწავლილი თემები, სწავლების მეთოდები, ლექტორის პოლიტიკა, მითითებულია ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, მოცემულია სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები;

სტუდენტი – პირი, რომელიც "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების გასავლელად;

ფალსიფიკაცია (გაყალბება) – სასწავლო დავალების შესრულებისას ინფორმაციის გაყალბება, ყალბი წყაროებისა და მონაცემების გამოყენება, შედეგების გაყალბება უპირატესობის მოსაპოვებლად, რაც ითვლება სასწავლო პროესში სავალდებულო კეთილსინდისიერების დარღვევად;